



საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური  
ცენტრი თანადგომა

2020 – 2022 წლების სტრატეგიული  
განვითარების გეგმა

ოქტომბერი, 2019  
თბილისი, საქართველო

სარჩევი:

შემოკლებები.....	3
შესავალი.....	4
ორგანიზაციის მოკლე ისტორია.....	4
ხედვა და მისია.....	4
გეოგრაფიული მოცვა.....	6
კონტექსტის ანალიზი.....	6
ორგანიზაციული ანალიზი.....	12
მიმდინარე პროგრამები და სერვისები.....	13
<b>2020 – 2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა .....</b>	<b>15</b>
მიზნების მისაღწევად გამოყენებული სტრატეგიები.....	25
მოკლევადიანი ხედვა <b>2022 წლის ბოლოსათვის</b> .....	<b>27</b>

## შემოკლებები

აივ – ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

ინმ - ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელი

ლგბტ – ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი

მსმ – მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან

სგგი – სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია

სმ - სექს-მუშაკი

სრჯუ - სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

შიდსი – შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციის „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი - თანადგომა“ სტრატეგიული განვითარების გეგმას 2020-2022 წლებისათვის. გეგმის შემუშავებისას „თანადგომამ“ გაიარა კონსულტაციები როგორც სამიზნე პოპულაციების წარმომადგენლებთან, ისე რამდენიმე საკვანძო პარტნიორ ორგანიზაციასთან, რათა უზრუნველყოფილიყო სტრატეგიული გეგმის შესაბამისობა გარემოში არსებულ მოთხოვნებთან თუ საჭიროებებთან, ასევე გათვალისწინებულიყო ქვეყანაში არსებული ძირითადი ტენდენციები როგორც პროგრამული პრიორიტეტების, ისე დაფინანსების მხრივ. სტრატეგიული გეგმა დაამტკიცა ორგანიზაციის საერთო კრებამ 2019 წლის 18 სექტემბერს.

## ორგანიზაციის მოკლე ისტორია

ორგანიზაციის სრული იურიდიული დასახელებაა ა(ა)იპ „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“. ასოციაცია „თანადგომა“ არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საკუთარი წესდების მიხედვით (წესდების ახალი რედაქცია, 2011, მუხლი 1.2.).

„თანადგომა“ შეიქმნა MSF ცენტრის - საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ბაზაზე, რომელიც დააარსა საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ „ექიმები საზღვრებს გარეშე“ - საბერძნეთი ("Medecins Sans Frontieres" (MSF) Greece). საქართველოში თავისი მისიის დასრულებამდე MSF საბერძნეთის წარმომადგენლობამ მიიღო ადგილობრივი შტატის წინადადება იმის შესახებ, რომ MSF ცენტრი ჩამოყალიბებულიყო ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციად სახელად „თანადგომა“, რომლის მიზანიც იქნებოდა მიმდინარე პროექტების მდგრადობის შენარჩუნება და MSF ცენტრის აქტივობების გაგრძელება და გაფართოება. 2000 წლის 16 ოქტომბერს „თანადგომა“ დარეგისტრირდა, როგორც ასოციაცია (კავშირი) (შემდგომში *ასოციაცია*).

ასოციაციას აქვს უფლება, აწარმოოს ყველა ტიპის საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის მომგებიანი საქმიანობაც. მომგებიანი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება არ შეიძლება განაწილდეს ასოციაციის წევრებს შორის, ის უნდა მოხმარდეს ასოციაციის მიზნების მიღწევას.

## ხედვა და მისია

„თანადგომას“ ხედვაა ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი საზოგადოება, სადაც დაცულია ადამიანთა ჯანმრთელობის უფლება, განათლების სისტემაში დანერგილია სქესობრივი აღზრდა, მოქალაქეებს ხელი მიუწვდებათ

რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხარისხიან მომსახურებაზე, შესაბამისად ნაკლებად ვრცელდება ინფექციური დაავადებები, მცირდება აბორტების რიცხვი, მაღალია ოჯახის დაგეგმვის მეთოდების გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მაღალი რისკის ჯგუფებს, შესაბამისად ნაკლებია ამ საკითხებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები და ასევე ფართოდ დანერგილია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისები.

ამ ხედვის რეალიზების მიზნით ასოციაციის „თანადგომა“ მისიაა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება პრევენციული, საგანმანათლებლო, დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო სერვისების განხორციელებისა და მათი ადვოკატირების გზით. ასევე „თანადგომა“ უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციების, თემების და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების განვითარებას.

„თანადგომა“ იზიარებს და საქმიანობებს ახორციელებს შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

- ყველა ადამიანი თანასწორია მიუხედავად რასის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიური თუ ეთნიკური მიკუთვნებულობისა;
- გენდერული აქცენტები, ადამიანის უფლებები და არადისკრიმინაციული მიდგომები გამჭოლი თემებია ორგანიზაციის მუშობაში.

„თანადგომა“ მუშაობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ორგანიზაციის სერვისები ხელმისაწვდომია რეპროდუქციული ასაკის ზოგადი მოსახლეობისათვის, მაგრამ „თანადგომა“ განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს და შეიმუშავებს პროაქტიულ პროგრამებს ქალებისათვის და რისკის ქვეშ მყოფი, მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სარისკო პოპულაციებისათვის): მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან - მსმ, ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები - ინმ, სექს-მუშაკები - სმ, ახალგაზრდები, პატიმრები, ლგბტ თემი, ტრეფიკინგის მსხვერპლი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ აივ/შიდსი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ ტუბერკულოზი, იძულებით ადგილნაცვალი პირები, და სხვა.

„თანადგომას“ მუშაობა ძირითადად შემდეგი აქტივობებისა და სერვისებისგან შედგება:

- სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის გაწევა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის, განსაკუთრებული ფოკუსით სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე, აივ/შიდსის, სგგი-ის, ვირუსული ჰეპატიტების, ტუბერკულოზის და ა.შ. საკითხების ჩათვლით;
- საინფორმაციო მასალების შექმნა და გავრცელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებზე;
- სგგი/აივ/ვირუსულ ჰეპატიტებზე B და C პირველადი სკრინინგი მობილური ლაბორატორიების მეშვეობით;

- მოსახლეობის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის ხელშეწყობა;
- ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისების მიწოდება სოციალური ბიუროების და სარეაბილიტაციო ცენტრის მეშვეობით, თვითდახმარების ჯგუფების, კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიის, 12 ნაბიჯის პროგრამის და ა.შ. მეთოდების გამოყენებით;
- კვლევების, კონფერენციების, ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება სხვადასხვა სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით;
- მასმედიასთან თანამშრომლობა, ჯანდაცვისა და ფსიქოლოგიურ პრობლემებზე ფოკუსით, რათა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება, ადვოკატირება და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება;
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება.
- საკონსულტაციო და ტექნიკური დახმარების გაწევა სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის, „თანადგომას“ კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე;
- მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის გაუმჯობესებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ასევე რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის ადვოკატირება თვალსაჩინო ინფორმაციის მოძიებითა და წარდგენით, პოლიტიკის დიალოგების გამართვით, რელევანტურ არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო უწყებებთან ერთად ერთობლივი გეგმების შემუშავების გზით.

## გეოგრაფიული მოცვა

2019 წლის მდგომარეობით „თანადგომას“ აქვს ცენტრალური ოფისი თბილისში და 4 ფილიალი/განყოფილება - საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები - საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ რეგიონებში: ბათუმი (აჭარა), ზუგდიდი (სამეგრელო), ქუთაისი (იმერეთი) და თელავი (კახეთი). გარდა ამისა, 2016 წელს „თანადგომამ“ დააარსა სარეაბილიტაციო ცენტრი დამოკიდებულების პრობლემების მქონე პირებისათვის. ცენტრი მდებარეობს გრემში, კახეთის რეგიონში.

## კონტექსტის ანალიზი

### პოლიტიკური, საკანონმდებლო, ეკონომიკური და სოციალური გარემო

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკურ კონტექსტში არ მომხდარა რაიმე ძირეული ცვლილებები, რაც მოახდენდა მნიშვნელოვან გავლენას „თანადგომას“ ფუნქციონირებაზე.

ქვემოთ აღწერილია ზოგიერთი მოვლენა, რაც ნაციონალურ დონეზე მოხდა და რელევანტურია „თანადგომას“ საქმიანობისათვის:

- ფინანსურმა კრიზისმა და ქართული ლარის დევალვაციამ გავლენა მოახდინა ქვეყანაში ზოგად ეკონომიკურ სიტუაციაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2018 წლის ბოლოს და 2019 მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე დევალვაცია. არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაცია ჯერჯერობით არ არის კრიტიკული ორგანიზაციისათვის. თუმცა, „თანადგომა“ დაფინანსებას დონორებისგან იღებს რამდენიმე ვალუტაში და იქმნება საფრთხე, რომ პროექტებში წარმოიქმნას დამატებითი ხარჯი (ლარის კურსის ხშირი ცვლის გამო), რასაც დონორი არ ანაზღაურებს. ფინანსური კრიზისისა და რეგიონში შემცირებული დონორული დაფინანსების ფონზე, ბოლო წლებში თანადგომამ მოახდინა ფონდების დივერსიფიკაცია, რაც გამოიხატა ახალი დონორული დაფინანსების მოძიებით და ორგანიზაციის დაფინანსებაში გლობალური ფონდის წილის შემცირებით 60%-დან 45% მდე.
- გლობალური ფონდის ქვეყნიდან გასვლის პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ აიღოს და ჩაანაცვლოს ის ვალდებულებები, რომელსაც ამჟამად ახორციელებს გლობალური ფონდი. მკურნალობისა და დიაგნოსტიკის დიდი ნაწილი უკვე გადაიბარა სახელმწიფომ, თუმცა სამიზნე ჯგუფებში აივ პრევენცია კვლავ რჩება გლობალური ფონდის დაფინანსებაზე. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოება იყოს აქტიური და განახორციელოს ეფექტური ადვოკაცია და კომუნიკაცია სახელმწიფოსთან პრევენციაზე თანხების მობილიზაციისთვის.
- 2017 წელს პარლამენტმა დამტკიცა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს ახალი დებულება და შეიქმნა ახალი 2018-2020 სამოქმედო გეგმა. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები და გამკაცრდა სასჯელი ოჯახში ძალადობის ჩადენისთვის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საპასუხოდ, შეიქმნა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი, პრაქტიკაში დაინერგა ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტი, რაც უმნიშვნელოვანესი გარანტიაა მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვისა და განმეორებითი ძალადობის პრევენციისთვის.
- 2018 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ეროვნული კვლევა ჩაატარა. კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახის დაგეგმვის სერვისები სრულად არ არის ინტეგრირებული პირველადი ჯანდაცვის საფეხურზე. შესაბამისად, არ არსებობს სრულყოფილი და სისტემური მიდგომა ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის, განათლებისა და სერვისის მიწოდების კუთხით, რაც მასზე

- ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვან ბარიერებს უქმნის ქალებს. ასევე, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობა.
- 2018 წელს საქართველოს აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგია და მასზე დაყრდნობით გლობალურ ფონდში შეტანილ იქნა 2019-2022 წლების ახალი კონცეფცია. ქვეყნის 3-წლიანი განაცხადი დამტკიცდა 2019 წელს, დაფინანსების ოდენობით 2020-2022 შიდსის პროგრამაზე 9 438 000 აშშ დოლარი.
  - შეიქმნა აჭარის რეგიონული 2019-2023 აივ სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნება UNAIDS-ის, WHO-ს და GFATM-ის რეკომენდაციებზე. მუშაობა დაიწყო 2018 წელს და დასრულდა 2019-ში.
  - 2017 წელს დამტკიცდა „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის 2017-2030 სტრატეგია“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ასევე სქესობრივი აღზრდისა და ახალგაზრდების სრულ საკითხებს.
  - ბოლო 3 წლის განმავლობაში განათლების სამინისტროში გრძელდებოდა მინისტრების და სხვა თანამდებობის პირების ხშირი ცვლა. ყოველ ასეთ ცვლილებას მოჰყვება მენეჯმენტის რგოლის ცვლილება სამინისტროს შიგნით. ყოველ ჯერზე ანონსდება განათლების სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების ტალღა. ბოლო მინისტრის დანიშვნის შემდეგაც დაიგეგმა რეფორმები. თუმცა, მოსალოდნელი რეფორმების კონკრეტული დეტალები კიდევ უცნობია. ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის პროცესი განათლების სისტემაში კი ჩვეულებრივ გრძელდება. 2019 წლის ბოლოსათვის დამტკიცებულია ცხოვრების ჯანსაღი წესის ამსახველი სტანდარტი საგნებისათვის „ბიოლოგია“ და მოქალაქეობა“ მე-9 კლასის ჩათვლით. ასევე, 2018 წელს, განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა მასწავლებლებისთვის საგნების - „ბიოლოგია“ და „მოქალაქეობა“ გზამკვლევის შესადგენად.
  - C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა საქართველოში გრძელდება. 2019 წელს პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მკურნალობასთან ერთად, ყველა სახის დიაგნოსტიკა პროგრამაში ჩართული პირებისთვის გახდა უფასო.
  - ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა შეიქმნა 2017 წელს. არასამთავრობო სექტორი ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ნარკოპოლიტიკის ცვლილებების პროცესში. თუმცა, 2018 წელს მთავრობამ, პოლიტიკური მიზეზების გამო, შეანელა და დაამუხრუჭა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული დისკუსია. პლატფორმა აღარ არის აქტიური და 2020-2022 წლის გეგმები დამოკიდებულია სწრაფად ცვლად პოლიტიკურ გარემოზე.
  - არასამთავრობო სექტორის, კერძოდ კი თანადგომას და მისი პარტნიორების აქტიური საადვოკაციო ქმედებების შედეგად, ქალაქ თბილისის მერიამ ხელი მოაწერა ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს - პარიზის დეკლარაცია და ტუბერკულოზის ნულოვანი დეკლარაცია. ამ ხელმოწერებით მერია უერთდება მსოფლიო წამყვან ქალაქებს აივ-თან და ტუბერკულოზთან ბრძოლის საქმეში და აცნობიერებს ამ პრობლემების მნიშვნელობას მუნიციპალურ დონეზე.



## მოთხოვნა

„თანადგომა“ პერიოდულად აკეთებს გარემოს სკანირებას, რათა იდენტიფიცირებულ იქნას ის საჭიროებები თუ მოთხოვნები, რომლებიც არსებობს ორგანიზაციის ინტერესის სფეროებში. ზოგიერთი ამ საჭიროებებიდან იგივე დარჩა, რაც წინა სტრატეგიული ციკლის დროს, თუმცა, ზოგი რამ დაემატა და/ან შეიცვალა. საჭიროებები, რომლებზე პასუხიც გარკვეულწილად წინამდებარე სტრატეგიის ამოცანა იქნება, დღეისათვის შემდეგია:

- სქესობრივი განათლების დანერგვა (რასაც საქართველოში ცხოვრების ჯანსაღი წესის განათლებას უწოდებენ) დაიწყო 2014 წელს. 2017-2019 წლებში, თანადგომა აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას განათლების სამინისტროსთან. ჩვენი ძალისხმევა, გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად, მიმართული იყო შემდეგზე: ეროვნული სასწავლო გეგმის გადახედვა, შერჩეული საგნების წიგნების ავტორებთან მუშაობა, საჩვენებელი ინოვაციური გაკვეთილების პილოტირება შერჩეულ სკოლებში, გზამკვლევის შექმნა მასწავლებლებისთვის და საინფორმაციო მასალების შექმნა მშობლებისთვის. გარდა ამისა, სამინისტროს თხოვნით, თანადგომა ჩაერთო ე.წ. „ახალი სკოლის მოდელის“ პილოტირებაში და ქოუჩებს ჩაუტარა ტრენინგი სრჯუ საკითხებზე. მოსალოდნელია, რომ ამ მოდელის გაფართოვებას მოჰყვებს სამინისტროს მხრიდან ჩვენი მომდევნო ჩართულობის მოთხოვნაც.
- ოჯახის დაგეგმვა ბოლო ათწლეულის განმავლობაში დიდწილად იგნორირებული იყო. ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაცია, ისევე, როგორც მისი სერვისების ხელმისაწვდომობა საქართველოში კვლავ დაბალია. 2017-2019 წლებში თანადგომამ გააქტიურა ოჯახის დაგეგმვის საკითხების პროპაგანდა სხვადასხვა არხების გამოყენებით. განსაკუთრებით გააქტიურდა მედია კომპონენტი და ცნობიერების ამაღლება/სენსიტიზაცია სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებში. მუშაობის ეს მიმართულება გაგრძელდება მომავალშიც.
- ძალადობა და დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით საქართველოში კვლავ რჩება აქტუალურ პრობლემად. არ არსებობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სტატისტიკის შეგროვების და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტი. კვლავ დგას ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შესწავლის პროცესში სოციალური მუშაკების ეფექტიანად ჩართვის პრობლემა, სოციალური მუშაკების რაოდენობრივი სიმცირის და სამუშაოს მოცულობის გამო ვერ ხერხდება მათზე კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულება. ამ ფონზე სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მიერ მიღებული ზომები არ არის საკმარისი, რათა დაკმაყოფილდეს ძალადობის მსხვერპლების, განსაკუთრებით კი მოწყვლადი, სოციალურად დაუცველი ქალების საჭიროებები.

- როგორც თანადგომას მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, აივ ინფექციისა და სხვა სგგი-ების პრევალენტობა მსმ-ებს შორის საგანგაშოდ იზრდება. ეს სიტუაცია, ისევე, როგორც აივ ინფექციასთან დაკავშირებული სხვა დაავადებების (ვირუსული ჰეპატიტები, ტუბერკულოზი, სხვ.) პრევენცია უწყვეტ და ადეკვატურ საპასუხო ღონისძიებებს მოითხოვს.
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ისევე როგორც ადგილობრივი მონაცემების თანახმად, საქართველოში უკანასკნელ წლებში აღინიშნება ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლების კლების ტენდენცია, თუმცა მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის (MDR-TB) 10%-ში ექსტენსიურად რეზისტენტული ტუბერკულოზი აღინიშნება (XDR-TB), რასაც ჩვენს ქვეყანაში ზრდის ტენდენცია აქვს. 2017 წლის მონაცემებით ის 15%-ს, ხოლო 2018 წელს – 18%-ს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენა, მოსახლეობის ინფორმირება და მკურნალობაზე დამყოლობა კვლავ რჩება აქტუალურ პრობლემად, რომელშიც თანადგომა აქტიურად იქნება ჩართული. ცალკე აღსანიშნავია მოთხოვნა ტუბერკულოზის პროგრამაში უფრო მეტ სოციალურ და ფსიქოლოგიურ სერვისებზე. ამ მიმართულებით თანადგომამ დაიწყო გამოცდილების დაგროვება და არსებული ღიობის შევსება.
- საქართველოში არსებობს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისების სერიოზული დანაკლისი სხვადასხვა მოწყვლადი პოპულაციისათვის (პატიმრები, პრობაციონერები, ინექციური ნარკოტიკის მომხმარებლები, ქალები, რომელთაც აქვთ რეპროდუქციული ორგანოების კიბო, აივ/შიდსით მცხოვრები ადამიანები, გენდერული ძალადობის მსხვერპლი და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო სექტორები გარკვეულ ძალისხმევას წევენ ამ კუთხით, მოთხოვნა ძალიან დიდია. „თანადგომა“ აღიარებს და ხედავს ასეთი სერვისების პროპაგანდის, განვითარებისა და ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობას.
- ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის უკეთესი და უფრო ფართო პროგრამების საჭიროებას უკავშირდება ასევე ქვეყანაში ნარკოკანონმდებლობის რეფორმის საჭიროებაც. ნარკოპოლიტიკის პლატფორმა აღარ არის აქტიური, პოლიტიკური მიზნების გამო. თუმცა, გააქტიურების შემთხვევაში, თანადგომა მზად იქნება მასში მიიღოს მონაწილეობა.

## დაფინანსება (დონორები, მთავრობა)

2017-2019 წლების განმავლობაში კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა საერთაშორისო დაფინანსების კლების ტენდენცია. ბევრი დონორისათვის ჯანდაცვა აღარ არის პრიორიტეტი, მით უფრო, რომ საქართველო საშუალო შემოსავლების ქვეყანათა რიგებშია შესული. გარდა ამისა, სერვისების დაფინანსებაც სულ უფრო ნაკლებ პრიორიტეტულია. ბოლო წლების განმავლობაში, აივ/შიდსისა და სგგი-ების

პრევენცია თანადგომას მუშაობაში ერთ-ერთ ყველაზე კარგად დაფინანსებული მიმართულება იყო. დაფინანსების დიდი წილი მოდიოდა გლობალური ფონდის თანხებზე. თუმცა, ეს დაფინანსება 2023 წლისათვის უნდა ჩანაცვლდეს სახელმწიფო დაფინანსებით, მაგრამ ამის მექანიზმები, მოცულობა და სხვა პირობები ჯერჯერობით უცნობია. შესაბამისად, ჯერ კიდევ წინა სტრატეგიულ ციკლში „თანადგომამ“ დაიწყო მუშაობის სხვა მიმართულებების განვითარება და გაძლიერება, როგორცაა ექსპერტიზა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, კვლევა, ადვოკაცია, თანამშრომლობა და ქსელური მუშაობა.

ამავე დროს, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სხვა საკითხებს, როგორცაა სათემო ორგანიზაციებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, სქესობრივი აღზრდის პროპაგანდა, გენდერულ ძალადობასთან, სტიგმასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა, ისევე, როგორც ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას, დაფინანსების კუთხით უკეთესი პერსპექტივები აქვს.

შემცირებული დაფინანსების ფონზე, ისევე, როგორც წინა წლებში, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დაფინანსებისათვის ძალიან მაღალი კონკურენცია იქნება. ამ გაზრდილ კონკურენციაში, თანადგომამ უფრო უნდა გააძლიეროს და რეგიონის მასშტაბით ბაზარზე მეტად გაიტანოს თავისი გამოცდილება და ექსპერტიზა. ამ მიმართულებითაც, უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები და 2018 და 2019 წლების განმავლობაში, თანადგომას ექსპერტები ჩართულები იყვნენ ტექნიკური ექსპერტიზის აღმოჩენაში აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებში. კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც დაეხმარება თანადგომას, რომ გაუძღოს გაზრდილ კონკურენციას არის ახალი, ინოვაციური მეთოდების შეთავაზება სრულ საკითხებზე სამუშაოდ. ინსტიტუციური დაფინანსება კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა, რომ ამ მიმართულებით მოხდეს ადამიანური რესურსების გაძლიერება, ცოდნის შექმნა და კაპიტალიზაცია პრაქტიკაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სახელმწიფო ბიუჯეტი იზრდება და შესაძლებელია, სახელმწიფოსთან თანამშრომლობისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე წვდომის პერსპექტივები გაუმჯობესდეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხდება გლობალური ფონდის ქვეყნიდან გასვლა. თუმცა, ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაო არის ჩასატარებელი ქვეყანაში ეფექტური სოციალური კონტრაქტების მექანიზმების დანერგვისთვის და ხელშეწყობისთვის.

ბოლო წლებში შეინიშნება ტენდენცია დონორების მხრიდან რეგიონული პროექტების დაფინანსების კუთხით. ამ მხრივ თანადგომას აქვს მსგავსი დაფინანსების მიღების კარგი და ხანგძლივი გამოცდილება. გარდა ამისა, თანადგომა აქტიურად არის წარმოდგენილი სხვადასხვა რეგიონულ თუ საერთაშორისო ქსელებში და კოალიციებში, რაც საშუალებას იძლევა რეგიონულ დონეზე თანამშრომლობისთვის და მათ შორის რეგიონული დაფინანსების მოძიების კუთხით.

## ორგანიზაციული ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ორგანიზაციული გამოცდილება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ასევე ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სფეროში;</li> <li>• მაღალი ცნობადობა და კარგი რეპუტაცია;</li> <li>• პარტნიორთა ფართო ქსელი;</li> <li>• კვალიფიციური კადრები სერვისის მიწოდებისა და მოწყვლად პოპულაციებთან მუშაობის მხრივ;</li> <li>• წვდომა სამიზნე ჯგუფებზე;</li> <li>• ინოვაციებზე ორიენტაცია და ორგანიზაციული ღიაობა;</li> <li>• საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;</li> <li>• ფართო გეოგრაფიული მოცვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სრული დამოკიდებულება დონორების დაფინანსებაზე;</li> <li>• საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით მუშაობის შედეგებით ნაკლები გამოცდილება და პრაქტიკა;</li> <li>• ნაკლებად განახლებადი კადრები;</li> <li>• ადვოკატირების გამოცდილება იმატებს, მაგრამ მაინც საჭიროებს განვითარებას</li> </ul>

## მიმდინარე პროგრამები და სერვისები

2017-2019 წლებში თანადგომა ახორციელებდა 2 პროგრამას - სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების პროგრამას და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამას. პირველი პროგრამა მიმართული იყო სრულ სავიზიტოების წინ წამოწევაზე კოორდინირებული ადვოკატირების და გარკვეული სერვისების ხელმოსაწვდომობის გაუმჯობესებით. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა უფრო მეტად იყო მიმართული სერვისების უშუალო მიწოდებასა და სერვისების ხელმოსაწვდომობის გაუმჯობესებასა და ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობაზე. მიუხედავად იმისა, რომ 2017-2019 წლების განმავლობაში ორგანიზაცია მეტ დროსა და ყურადღებას უთმობდა საექსპერტო და საადვოკაციო საქმიანობას, სერვისების მიწოდება კვლავ აქტუალური რჩებოდა ორივე პროგრამის ფარგლებში. ესენია: მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების და ზოგადი მოსახლეობის განათლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში; აივ ინფექციის და სგვი-ის პრევენცია ზოგად მოსახლეობასა და მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში; რეპროდუქციული ასაკის ქალების ოჯახის დაგეგმვის მეთოდების შესახებ ინფორმირება; მოწყვლადი ქალებში სექსუალური და გენდერული ძალადობის პრევენცია. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის მხრივ კვლავ გრძელდებოდა ფსიქორეაბილიტაციური სერვისების მიწოდება 4 ქალაქში, დაიწყო ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, მაგრამ შეწყვიტა ფუნქციონირება სოციალურმა საწარმომ. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამის ფარგლებში პირველად დაინერგა არტ თერაპია - თიხაზე მუშაობა. 2019 წლის მდგომარეობით, ორგანიზაცია შემდგომ აქტივობებს ახორციელებს შემდეგი სამიზნე ჯგუფებისათვის:

სამიზნე ჯგუფები	სერვისები
რეპროდუქციული ასაკის ზოგადი მოსახლეობა	ანონიმური და კონფიდენციალური სატელეფონო, პირისპირ და ონლაინ კონსულტირება, უფასო და ანონიმური ტესტირება აივ ინფექციაზე, საინფორმაციო მასალების უფასო გავრცელება; საზოგადოებრივი კამპანია ოჯახის დაგეგმვის პროპაგანდის მიზნით; მობილური ტელეფონის აპლიკაცია ოჯახის დაგეგმვის თემაზე; საინფორმაციო კამპანია ტუბერკულოზის შესახებ.
მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფები: სმ, მსმ, ინმ, პატიმრები	ანონიმური და კონფიდენციალური სატელეფონო, პირისპირ და ონლაინ კონსულტირება, გასვლითი სავიზიტო სამუშაო, უფასო და ანონიმური ტესტირება აივ ინფექციაზე, B და C ჰეპატიტებზე, უფასო და ანონიმური ტესტირება და მკურნალობა სგვი-იზე, საინფორმაციო მასალების და

	კონდომების/ლუბრიკანტების უფასო გავრცელება, თანასწორთა განათლება, საგანმანათლებლო და თემის მობილიზაციის შეხვედრები/ტრენინგები. პატიმრებისა და ნარკომომხმარებლების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია.
ახალგაზრდები	ანონიმური და კონფიდენციალური სატელეფონო, პირისპირ და ონლაინ კონსულტირება, თანასწორთა განათლება, საგანმანათლებლო შეხვედრები/ტრენინგები, ტესტირება აივ ინფექციაზე, B და C ჰეპატიტებზე, საინფორმაციო მასალების და კონდომების უფასო გავრცელება.
ადამიანები, რომელთაც შეეხოთ აივ/შიდსი	თვითდახმარების ჯგუფების წარმოება საპატიმროებში; ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფები აივ დადებითი მსმ-ებისათვის.
ადამიანები, რომელთაც შეეხოთ ტუბერკულოზი	მკურნალობაზე დამყოლობის მხარდაჭერა - გარე სერვისები: ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და თანასწორგანმანათლებლის დახმარება; აქტივიზმის განვითარების მხარდაჭერა - საინფორმაციო შეხვედრები საჭიროებათა განსაზღვრისათვის; პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან საინფორმაციო მუშაობა.
გენდერული ძალადობის, დისკრიმინაციისა და ტრეფიკინგის მსხვერპლი	ანონიმური და კონფიდენციალური სატელეფონო, პირისპირ და ონლაინ კონსულტირება, საინფორმაციო მასალების და კონდომების უფასო გავრცელება, ფსიქოლოგიური დახმარება; მოწყვლადი ქალების სათემო მობილიზაცია დისკრიმინაციისა და ძალადობისაგან დაცვის სერვისების უკეთესი ხელმისაწვდომობის, ადვოკატირებისა და გამოყენების მიზნით.
ლგბტ, სექს-მუშაკთა და ინმ-თა, ტუბერკულოზის პაციენტთა სათემო ორგანიზაციები	ტექნიკური დახმარების, საკონსულტაციო მხარდაჭერის გაწევა, ორგანიზაციული და პროგრამული განვითარების მხრივ დახმარების გაწევა „თანადგომას“ კომპეტენციის ფარგლებში.

## 2020 – 2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

2019 წელს თანადგომამ შეიმუშავა სამწლიანი სტრატეგიული გეგმა 2020-2022 წლებისათვის. ამ პერიოდში ორგანიზაცია გეგმავს, გააგრძელოს იმ სამი სტრატეგიული მიმართულების (ორი პროგრამული და ერთი - ორგანიზაციული) განხორციელება, რომლებიც წინა სტრატეგიულ ციკლში იყო გამოყოფილი. შესაბამისად, 2020-2022 წლების გეგმაში გამოკვეთილია სამი სტრატეგიული პრიორიტეტი:

1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები,
2. ფსიქიკური ჯანმრთელობა,
3. ორგანიზაციული განვითარება.

ამ სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად, მოხდა სტრატეგიული მიზნების, ამოცანების, მოქმედების ძირითადი არეალებისა და მოსალოდნელი შედეგების იდენტიფიცირება:

### 1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების პროგრამა

სტრატეგიული მიზანი 1:

საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების წინ წამოწევის ხელშეწყობა.

გამოსავლები:

- სახელმწიფო პრიორიტეტს ანიჭებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებს: სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები მეტად არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ
- ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლება<sup>1</sup> სასკოლო კურიკულუმის ნაწილია

ინდიკატორები:

- სახელმწიფოს ჩართულობა სრულ საკითხებში გაზრდილია
- სრულ საკითხების სახელმწიფო დაფინანსება გაზრდილი 10%-ით
- ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლების სტანდარტები მაღალი კლასებისათვის დამტკიცებულია;
- ყველა საფეხურის გრიფირებული სახელმძღვანელოები შეიცავს სრულ-ს შესაბამის თემატიკას;

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა, პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყანაში, საქართველოშიც სახელმწიფო სტრუქტურები არ გამოიყენებენ ტერმინს „ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება“. მის მაგივრად ჯერჯერობით დანერგილია ტერმინი „ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ განათლება“.

- ბიოლოგიის და სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის სავალდებულო გახდა სრჯუ ცოდნა.

## ამოცანები:

### 1.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკაცია როგორც საქართველოში, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

თანადგომამ უკვე დაიწყო საადვოკაციო აქტივობები სრჯუ-ს მიმართულებით, განსაკუთრებით სქესობრივი განათლებისა და ოჯახის დაგეგმვის მიმართულებით, 2015-2019 წლებში. ამ მიმართულების გაძლიერება ორგანიზაციის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია მომავალ სტრატეგიულ ციკლშიც. 2020-2022 წლების განმავლობაში ეს მიმართულება გაძლიერდება ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერითა და მათთან თანამშრომლობით. სხვადასხვა ტიპის კვლევა, რაშიც თანადგომას დიდი გამოცდილება აქვს, გამოყენებულ იქნება, როგორც ადვოკაციის ბაზა ეროვნულ დონეზე, და ასევე მოძიებულ იქნება საერთაშორისო საადვოკაციო მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობებიც. უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ადვოკაციისას კომუნიკაციის კომპონენტს, რა მიზნითაც მომზადდება საკომუნიკაციო სტრატეგია, რომლის მთავარი მიზანიც იქნება სრჯუ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება და დადებითი დამოკიდებულების აზრის ფორმირება. თანადგომას მიერ დაარსებული სრჯუ საკოორდინაციო პლატფორმა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ერთობლივი ადვოკაციის პროცესებში.

ამ მიმართულების მეორე განზომილება არის ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა სრჯუ საკითხებში სხვადასხვა სათემო ჯგუფებისათვის, სათემო თუ სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის. 2017-2019 წლების განმავლობაში თანადგომას დაუგროვდა საკმაო გამოცდილება რეგიონული ტექნიკური ექსპერტიზის თუ საკონსულტაციო სამუშაოს მიმართულებით სრჯუ საკითხებზე, და შემდგომ 3-წლიან პერიოდში ეს აქტივობები გაფართოვდება.

## მოქმედების არეალი:

- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნება და გაძლიერება საადვოკაციო ძალისხმევის გაძლიერების მიზნით - სრჯუ საკოორდინაციო პლატფორმის ფუნქციონირება;
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების ადვოკატირება ადგილობრივ, ცენტრალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე შეხვედრების, მრგვალი მაგიდების, მოწყვლადი პოპულაციების საჭიროებების შეფასების წარდგენის გზით;



- საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების წინ წამოწევის მიზნით.
- არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, განსაკუთრებით კი ქალთა და სათემო ორგანიზაციებისათვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ცოდნისა და უნარების გაძლიერებაში მხარდაჭერის შესაძლებლობების მოძიება;
- სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობა რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე ტექნიკურ დახმარებაში ჩართვით და ასევე ერთობლივ რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში მონაწილეობის გზით;
- ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

#### მოსალოდნელი შედეგები:

- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სხვადასხვა საკითხები სისტემატურად შეისწავლება, ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.
- სრულ საკითხები პოზიტიურად და კორექტულად შუქდება მედიაში.
- თანადგომა აღიარებულია, როგორც ექსპერტი ორგანიზაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებში.
- ზოგად მოსახლეობას, განსაკუთრებით კი რეპროდუქციული ასაკის ქალებს ხელი მიუწვდებათ ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციაზე.

#### 1.2. თანამშრომლობა სახელმწიფო და არასამთავრობო დაინტერესებულ პირებთან საქართველოს განათლების სისტემაში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ინკორპორირების ხელშეწყობის მიზნით.

ეს მიმართულება თანადგომას ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტია. რადგანაც ხელშესახები შედეგების მიღწევა გრძელვადიანი პროცესია, ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ინკორპორირება განათლების სისტემაში ვერ მოხდება 3 ან 5 წლის ვადაში. 2019 წლის ბოლოსათვის მოხდა სრულ საკითხების ნაწილობრივ ჩართვა საგანმანათლებლო სტანდარტებში მე-9 კლასის ჩათვლით. 2020-2022 წლების განმავლობაში ძირითადი აქტივობები ამ მიმართულების ფარგლებში იგივე დარჩება, კერძოდ, გაგრძელდება უკვე შემდგარი თანამშრომლობა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან განათლების სფეროში, როგორც არის გაეროს რელევანტური სააგენტოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურია სრულ სფეროში. თანადგომას მიერ შექმნილი საკოორდინაციო პლატფორმა გააგრძელებს

მუშაობას და გამართავს რეგულარულ შეხვედრებს, სადაც საჭიროების მიხედვით მოწვეული იქნებიან სახელმწიფო სტრუქტურების წამომადგენლებიც. ეს თანამშრომლობა კომბინირებული იქნება საადვოკაციო საქმიანობასთან, რაც მიმართული იქნება გადაწყვეტილებების მიმღებ პირებსა თუ ინსტიტუციებზე, მაგ. შესაბამის საპარლამენტო კომიტეტებზე და განათლების სამინისტროს მაღალ მენეჯმენტზე. წინა სტრატეგიული ციკლის პერიოდში წამოწყებული ინიციატივები (მაგ. მშობელთა კურსები, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ურთიერთობა შესაბამის სტრუქტურებთან, სახელმძღვანელოების ავტორებთან შეხვედრები, გრიფირებული სახელმძღვანელოების მონიტორინგი და ა.შ.) გაგრძელებას ჰპოვებს 2020-2022 წლების განმავლობაშიც. დაგეგმილი კვლევა სრულ განათლების მიმართ დამოკიდებულებების განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლის მიზნით დაეხმარება თანადგომას, მიზანმიმართული ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო კამპანიის წარმოებაში როგორც მას მედიის, ისე სხვა - ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ. - საშუალებებით.

#### **მოქმედების არეალი:**

- სექსობრივი აღზრდის სფეროში ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა, როგორც არის რელევანტური გაეროს სააგენტოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიური არიან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში;
- სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა: მონაწილეობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამუშაო ჯგუფებში, წვლილის შეტანა სახელმძღვანელოების შემუშავებაში და პედაგოგების სრულ კვალიფიკაციის ამაღლებაში;
- კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება სექსობრივი აღზრდის საკითხების წინ წამოწევის მიზნით;
- სექსობრივი აღზრდის საკითხებზე სხვადასხვა ჯგუფების ცნობიერების ამაღლება, როგორებიცაა სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, ახალგაზრდები, მათი მშობლები, ასევე ზოგადი მოსახლეობა.

#### **მოსალოდნელი შედეგები:**

- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები სკოლის კურიკულუმის ნაწილია;
- გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები შეიცავს სრულ საკითხებს;
- პედაგოგების საკვალიფიკაციო კურსები მოიცავს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებს;
- სექსობრივი აღზრდის საკითხები პოზიტიურად და კორექტულად შუქდება მასობრივ მედიაში.

### 1.3. სგგი-ის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების და რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია და/ან სკრინინგი მოწყვლად პოპულაციებში.

პრევენციული სერვისების მიწოდება როგორც ზოგადი მოსახლეობისათვის, ისე ეგრეთ წოდებული სარისკო პოპულაციებისათვის თანადგომას მუშაობის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება იყო ორგანიზაციის დაარსების დღიდან. თუმცა, ორგანიზაციისა და მისი გარემოს ანალიზის შედეგად, უკვე 2017-2019 წლებში თანადგომა უფრო მეტად ფოკუსირდა ადვოკაციაზე, ტექნიკურ ექსპერტიზასა და პრევენციის მხარდაჭერაზე, განსაკუთრებით აივ/შიდსის პროგრამის ტრანზიციის დაწყების გამო გლობალური ფონდის დაფინანსებიდან სახელმწიფო მხარდაჭერაზე. წინა სტრატეგიულ ციკლში თანადგომამ წამოიწყო ახალი ინიციატივა ტუბერკულოზის მიმართულებით, რომელიც, დამყოლობაზე მუშაობის გარდა, მოიცავს სათემო ორგანიზაციის განვითარებასა და ტექნიკურ მხარდაჭერასაც.

თანადგომას მუშაობის ფარგლებში სერვისებზე ნაკლები ფოკუსირების ტენდენცია კვლავ გაგრძელდება 2020-2022 სტრატეგიულ ციკლში, თუმცა, სერვისების მიწოდება კვლავ შეიძლება შენარჩუნებულ იქნას, თუ ის ღირებული იქნა როგორც სამიზნე პოპულაციებისათვის, ისე ადვოკაციის მიზნებისათვის. სერვისების ხელმისაწვდომობა და მათი ხარისხის უზრუნველყოფა, ასევე, ტექნიკური ექსპერტიზის მიწოდება და თემების მხარდაჭერა სერვისის მიწოდებისას ასევე ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი იქნება ამ მიმართულების ფარგლებში. თემატური სპექტრი ძალიან ფართოა და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: აივ/შიდსი, სგგი, ვირუსული ჰეპატიტები, ტუბერკულოზი, უსაფრთხო სქესობრივი პრაქტიკები - კონდომის გამოყენების პოპულარიზაცია, რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებები, და ა.შ. გარდა ამისა, სერვისების ნაწილი არის ფსიქოლოგიური კონსულტირება, მხარდაჭერა და შემთხვევათა მართვა იმ საკითხებთან მიართებაში, რაც ზემოთ არის ჩამოთვლილი.

#### მოქმედების არეალი:

- სგგი-ის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების და რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების პრევენციული და/ან სკრინინგ-სერვისების მიწოდება მოწყვლადი პოპულაციებისათვის
- მოწყვლადი პოპულაციებისათვის აივ-პრევენციული სტანდარტების დამტკიცების ადვოკაცია და პრევენციული საქმიანობების განხორციელება დამტკიცებული მომსახურების სტანდარტების მიხედვით
- აივ-პრევენციული სერვისების სახელმწიფო დაფინანსების წილის გაზრდის ადვოკაცია
- გარე მხარდამჭერი სერვისების (როგორც მკურნალობის დამყოლობის, ისე მოსახლეობაში პრევენციული მუშაობის) ინტეგრირება ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამაში

#### მოსალოდნელი შედეგები:

- აივ ინფექციის პრევალენტობა მოწვევლად პოპულაციებში არ გაზრდილა 2022 წლისათვის;
- გარე მხარდამჭერი სერვისები (როგორც მკურნალობის დამყოლობის, ისე მოსახლეობაში პრევენციული მუშაობის) ინტეგრირებულია ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამაში და ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ
- პრევენციული სერვისების ხელმისაწვდომობა მოწვევლადი პოპულაციებისათვის შენარჩუნებულია დამტკიცებული სტანდარტების მიხედვით
- სერვისებით მოსარგებლები კმაყოფილები არიან მიწოდებული სერვისების ხარისხით

#### 1.4. სექსუალური და გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

ეს მიმართულება პირველად იქნა გამოყოფილი თანადგომას სტრატეგიულ ამოცანად წინა, 2017-2019 წლების სტრატეგიულ გეგმაში, თუმცა ორგანიზაცია ადრეც მუშაობდა სექსუალური და გენდერული ძალადობის პრევენციისა თუ ცნობიერების ამაღლების კუთხით, მოწვევლად ქალებზე მიმართული მრავალფეროვანი პროგრამების ფარგლებში. 2020-2022 პერიოდში თანადგომა აპირებს, უფრო მიზანმიმართულად იმუშაოს ამ მიმართულებით, და არ შემოიფარგლოს მხოლოდ მოწვევლადი ქალების მიმართ ძალადობით. ეს მოიცავს გაძლიერებულ პარტნიორობას ამ საკითხზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებთან, მათთან გადამისამართების სისტემის გამართვას. რაც შეეხება მოწვევლადი ქალების სათემო ჯგუფებს (მაგ. სექსუალური, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ჯგუფები), მათთან მუშაობა, პარტნიორობა და მათთვის ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა გაგრძელდება მომავალ სტრატეგიულ ციკლში.

#### მოქმედების არეალი:

- უფასო იურიდიული, სამედიცინო და ფსიქოსარეაბილიტაციო სერვისების მიწოდების ხელშეწყობა გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლებისათვის;
- მოწვევლადი ქალების უნარების გაძლიერება და მობილიზაცია მათი უფლებების გაუმჯობესებული ადვოკატირებისათვის;
- თანამშრომლობა ძალადობის პრევენციისა და მასთან დაკავშირებული სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან გადამისამართების სისტემის შექმნისა და უკეთესი ფუნქციონირებისათვის.

#### მოსალოდნელი შედეგები:

- სექსუალური და გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების უკეთესი ხელმისაწვდომობა და ამ სერვისების გაუმჯობესებული გამოყენება;

- მოწყვლადი ქალების გაძლიერებული და მობილიზებული სათემო ჯგუფები, რომელთაც აქვთ ტექნიკური უნარები ადამიანის უფლებების ადვოკაციისათვის;
- ჩამოყალიბებული და მოქმედი გადამისამართების სისტემა

## 2. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა

### სტრატეგიული მიზანი 2:

მოწყვლადი პოპულაციებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხარისხიანი სერვისების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა.

### გამოსავლები:

- თანადგომას ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის მოდელი მოწყვლადი პოპულაციებისათვის წარმატებულად ფუნქციონირებს.
- საქართველოში გაზრდილია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისების რაოდენობა.
- სახელმწიფო მხარს უჭერს და ნაწილობრივ აფინანსებს ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას.

### ინდიკატორები:

- ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისების გაზრდილი რაოდენობა
- თანადგომას მიერ შეთავაზებული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის მოდელი მოწყვლადი პოპულაციებისათვის ნაწილობრივ დაფინანსებულია მთავრობის მიერ.

### ამოცანები:

#### 2.1. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისების უზრუნველყოფა მოწყვლადი პოპულაციებისათვის.

ამ მიმართულების ფარგლებში თანადგომა გეგმავს, გააძლიეროს სარეაბილიტაციო ცენტრი და შესთავაზოს ის, როგორც მოდელი, სახელმწიფოს. აღსანიშნავია, რომ წინა სტრატეგიულ ციკლში თანადგომამ დიდი ძალისხმევა გასწია სოციალური საწარმოს, როგორც რეაბილიტაციის მოდელის, განვითარებისათვის. თუმცა, საწარმომ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს და ვერ გახდა ფინანსურად დამოუკიდებელი. შესაბამისად, 2020-2022 წლებში დაგეგმილია სოციალური მეწარმეობის კონცეფტუალური გადააზრება და სხვა გზების ძიება. ეს შესაძლებელია, იყოს კვლავ შრომითი თერაპიისა და ასევე არტ თერაპიის კომბინაცია (თიხაზე მუშაობა) ვარიანტი, რადგანაც 2019 წლის ბოლოსათვის სწორედ ეს მიმართულება იძლევა გარკვეულ იმედებს.

ასევე, გაგრძელდება სერვისების მიწოდება სოციალური ბიუროს მოდელის მიხედვით. ეს მოდელიც შესაძლებელია გამდიდრდეს დამატებითი სერვისებითა და მიდგომებით, და განვითარდეს დღის სარეაბილიტაციო ცენტრების მიმართულებით. ამდენად, ამ მიმართულების მიზანია, რომ სერვისები სამიზნე პოპულაციებისათვის არსებობდეს, და მათი მიწოდება არ არის აუცილებელი, მოხდეს მხოლოდ თანადგომას ფარგლებში. ეს ასევე მოიცავს ტექნიკური მხარდაჭერის გაწევას სხვა შესაძლო სერვისის მიწოდებლებისათვის - სათემო, სამოქალაქო თუ სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის, რათა მათ შეიძინონ ან გაუმჯობესონ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ცოდნა და უნარები.

და ბოლოს, აქტივობების კიდევ ერთი განზომილება ამ ამოცანის ფარგლებში დაკავშირებულია სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაწევასთან. ეს მოიცავს: კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიასა და სტრესის მართვის სერვისებს სხვადასხვა ჯგუფებისათვის, როგორცაა ადამიანები, ვისაც შეეხო აივ/შიდსი, მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან, ონკოლოგიური დაავადებების მქონე ქალები, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები და სხვა.

#### **მოქმედების არეალი:**

- სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირების შენარჩუნება და გაუმჯობესება და პოპულარიზაცია;
- სოციალური საწარმოს ფუნქციონირების რეორგანიზაცია და გაუმჯობესება
- მოწყვლადი პოპულაციებისათვის ფსიქოსოციალური, სამედიცინო და ფსიქოლოგიური სერვისების მიწოდების შენარჩუნება
- სოციალური ბიუროების ბაზაზე დღის სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა

#### **მოსალოდნელი შედეგები:**

- სრულად ფუნქციონირებადი სარეაბილიტაციო ცენტრი;
- მდგრადი სოციალური საწარმო;
- ფსიქოსოციალური, სამედიცინო და ფსიქოლოგიური სერვისების უწყვეტი მიწოდება მოწყვლადი პოპულაციებისათვის
- სერვისებით მოსარგებლები კმაყოფილები არიან მიწოდებული სერვისების ხარისხით

### **2.2. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისების ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა მოწყვლადი პოპულაციებისათვის.**

სერვისების მიწოდების უზრუნველყოფის პარალელურად, თანადგომას კიდევ ერთი მიზანი ამ მიმართულების ფარგლებში არის სახელმწიფოს დარწმუნება, რომ რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია წარმოადგენს განმეორებითი დანაშაულისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების რეციდივის პრევენციის საუკეთესო გზას. საბოლოო მიზანია, რომ სახელმწიფომ ბიუჯეტიდან დააფინანსოს ის მოდელეები, რასაც გამოცდის, რის ეფექტურობასაც დაადასტურებს და შესთავაზებს

სამოქალაქო საზოგადოება. ამის მისაღწევად თანადგომა, როგორც სხვადასხვა საადვოკაციო პლატფორმებისა და ინიციატივების წევრი, ჩაატარებს საადვოკაციო ღონისძიებებს (რაც მოიცავს კვლევას, მედიაში საკითხის აქტუალიზაციას, შემუშავებული სარეაბილიტაციო კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის წარდგენას და სხვ.). გარდა ამისა, თანადგომა გეგმავს, უზრუნველყოს, რომ პენიტენციური და პრობაციის სისტემების პერსონალი შეიძენს აუცილებელ უნარებს ფსიქოსოციალური სერვისების ინსტიტუციონალიზაციისათვის. ამავე დროს, რადგანაც არსებული ნარკოპოლიტიკა კვლავ წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებას სახელმწიფოს მიერ სარეაბილიტაციო პროგრამების უზრუნველსაყოფად, თანადგომა გააგრძელებს ნარკოკანონმდებლობის ლიბერალიზაციის საადვოკაციო ინიციატივებში მონაწილეობის მიღებას, რათა შეიქმნას ხელშემწყობი გარემო სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისათვის. ამის პარალელურად, უნდა გაგრძელდეს მუშაობა ძალოვან სტრუქტურებთან, მათში ზოგადი სენსიტიზაციის, და სარეაბილიტაციო პროგრამებისა თუ სერვისების მიმართ მიმდებლობის ამაღლების მიზნით.

#### **მოქმედების არეალი:**

- ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო რესურსებით დაფინანსებისა და განხორციელების ადვოკატირება;
- ნარკომომხმარებლების რეაბილიტაციის ადვოკატირება დასჯისა და პატიმრობის ნაცვლად;
- პენიტენციური და პრობაციის პერსონალის უნარების გაძლიერება პატიმრების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერებისათვის ფსიქოსოციალური სერვისების ინსტიტუციონალიზაციის მიზნით.
- ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების სენსიტიზაცია და მათი ცნობიერების გაზრდა ნარკომომხმარებლის და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამების/სერვისების შესახებ.

#### **მოსალოდნელი შედეგები:**

- სახელმწიფო აფინანსებს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისების ნაწილს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთათვის;
- სახელმწიფო სტრუქტურები იცნობენ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისებს და შესაბამის დაწესებულებებს და პატიმრობის ნაცვლად გამოიყენებენ მკურნალობას და რეაბილიტაციას, როგორც ალტერნატივას;
- 2023 წლისათვის ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში თანადგომას დახმარებით დანერგულია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამები ადიქციური პრობლემის მქონე პატიმრებისათვის (CBT, არტ თერაპია);
- საქართველოში გაზრდილია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისების რაოდენობა.

### 3. ორგანიზაციული განვითარება

#### სტრატეგიული მიზანი 3:

ორგანიზაციის ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა მართვის სისტემების გაუმჯობესების და ადეკვატური და დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროების გზით.

#### გამოსავალი:

თანადგომა წარმატებულად იძიებს ფონდებს და აქვს საკმარისად განვითარებული მართვის სისტემები თავისი სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის.

#### ინდიკატორები:

- მოძიებული თანხების რაოდენობა წლიურ სტრატეგიულ ბიუჯეტთან შედარებით;
- ორგანიზაციული განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების დონე.

#### ამოცანები:

#### 3.1. ადამიანური, ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსების მხარდაჭერა, შენარჩუნება და განვითარება

2017-2019 წლების განმავლობაში თანადგომამ განაახლა შტატის შესრულების მონიტორინგის და საჭიროებების შეფასების სისტემა, რათა თემატური ცოდნის ზრდისათვის შეეწყო ხელი. გარდა ამისა, დაიხვეწა ფინანსური აღრიცხვის სისტემაც. 2020-2022 წლების განმავლობაში მოხდება ამ სისტემების შენარჩუნება, მომდევნო დახვეწა და გაუმჯობესება, საჭიროების მიხედვით. ეს ორგანიზაციას შესაძლებლობას მისცემს, შეინარჩუნოს მაღალპროფესიული პერსონალი, უკეთესად განახორციელოს პროგრამული მიმართულებები და უკეთესად იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო პლატფორმებში. გარდა ამისა, თანადგომამ უწყვეტად უნდა იზრუნოს არა მარტო ადამიანურ, არამედ არსებულ მატერიალურ, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ რესურსებზე. ამ სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში დაგეგმილი ქმედებები გააძლიერებს ორგანიზაციის უნარებს, და მისცემს მას გარკვეულ უპირატესობას მაღალკონკურენტულ გარემოში. საბოლოო ჯამში, ეს წვლილს შეიტანს ფონდების მოძიებაში, მდგრად განვითარებასა და სტრატეგიული მიზნების მიღწევაში თანადგომას თემატური პროგრამების კუთხით.

#### მოქმედების არეალი:

- შტატის კვალიფიკაციის ზრდა და განვითარება ტრენინგებში, საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონფერენციებში მონაწილეობის გზით;
- სტაჟირების პროგრამის გაგრძელება მოხალისეების რეკრუტირებისა და შესაძლო ახალი კადრების რესურსის შესაქმნელად.
- ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და შენახვა;
- ორგანიზაციის ადმინისტრაციული რესურსების მხარდაჭერა.



### **მოსალოდნელი შედეგები:**

- ორგანიზაციის შტატი უწყვეტად იმაღლებს კვალიფიკაციას ტრენინგებში, საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონფერენციებში მონაწილეობის გზით;
- სტაჟირების პროგრამის იძლევა მოხალისეების რეკრუტირებისა და შესაძლო ახალი კადრების რესურსის შექმნის შესაძლებლობას
- ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანად ფუნქციონირებს;
- ორგანიზაციის ადმინისტრაციული რესურსების მხარდაჭერილია.

### **3.2. მართვის სისტემების განვითარება.**

თანადგომამ უნდა იზრუნოს და მუდმივად განაახლოს მართვის და შესრულების კონტროლის სისტემები, განსაკუთრებული ფოკუსით ფინანსურ და ადმინისტრაციულ სისტემებზე. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციული სისტემები პასუხობდეს არსებულ მოთხოვნებს როგორც გარემოში, ისე ორგანიზაციაში. ამისათვის თანადგომა და მისი სისტემები მოქნილი უნდა იყოს, რათა მოერგოს ცვლებად გარემოს. 2017-2019 წლებში მიღწეულ იქნა გარკვეული პროგრესი სისტემების განვითარების კუთხით, და ეს პროცესი გაგრძელდება 2020-22 წლებშიც. ორგანიზაცია ღიად ტოვებს საკითხს, თუ რა კონკრეტული განახლებები მოხდება აღნიშნულ სტრატეგიულ ციკლში, რათა ჰქონდეს სიტუაციაზე მორგების მეტი შესაძლებლობა.

### **მოქმედების არეალი:**

- ორგანიზაციის შესრულების მონიტორინგი/შეფასება;
- კონსულტაციები/ტრენინგები ადმინისტრაციულ, ფინანსურ, იურიდიულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გარემო მოთხოვნებიდან გამომდინარე.

### **მოსალოდნელი შედეგები:**

- ორგანიზაციის სხვადასხვა სისტემები ფუნქციონირებს და შეესაბამება გარემოს მოთხოვნებს.

## **მიზნების მისაღწევად გამოყენებული სტრატეგიები**

მომავალი სამი წლის განმავლობაში ორგანიზაცია საჭიროდ თვლის, გაამდიდროს თავისი პროგრამები გარკვეულ კომპონენტებზე მეტი ფოკუსირებით. სრულ პროგრამის ფარგლებში, ეს კომპონენტები უკავშირდება სქესობრივ აღზრდას, სახელმწიფოს მიერ სრულ საკითხების პრიორეტიზაციის ადვოკატირებას, ოჯახის დაგეგმვის პოპულარიზაციას, მედიის გამოყენებას სრულ საკითხების უკეთესი ხილვადობისათვის და ა.შ. ასევე, დაგეგმილია მეტად ფოკუსირება ადვოკაციაზე, ექსპერტიზისა და ტექნიკური მხარდაჭერის გაწევაზე, სერვისების მიწოდებასთან

შედარებით. ორგანიზაციის ფართო გამოცდილება კვლევების ჩატარების კუთხით საფუძველს შეუქმნის თვალსაჩინოებაზე დამყარებულ პროგრამირებასა და ადვოკატირებას. მოსალოდნელი შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული სტრატეგიები შემდეგია:

- სახელმწიფო სტრუქტურებსა და ინსტიტუციებთან თანამშრომლობა, როგორცაა, მაგალითად, განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტრო, ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სამინისტროებთან არსებული სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, რათა შესრულდეს საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები. ეს სტრატეგია მოიცავს ასევე მუშაობას მუნიციპალურ სტრუქტურებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებისათვის სოციალური დაკონტრაქტების პირობების გაუმჯობესების მიზნით.
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, რათა დაძლეულ იქნას ტაბუები და შეიძვალოს სოციალური ნორმები თუ დამოკიდებულებები, ასევე გაიზარდოს მიმდებლობა სრულ საკითხების მიმართ სხვადასხვა არხების მეშვეობით - მედია, განათლება, თვალსაჩინოების შეგროვება და წარდგენა.
- ადვოკაცია თვალსაჩინოებაზე დამყარებული მონაცემების დახმარებით (კვლევა, პოლიტიკის ნარკვევები, სხვა), დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორებთან (ქსელური მუშაობა) ერთად პოლიტიკის დიალოგების და სხვა საშუალებების (სოციალური მედია, სხვა) გამოყენებით.
- ტექნიკური მხარდაჭერა სრულ სფეროში სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის (გაძლიერება, მობილიზაცია), ქსელური მუშაობა ერთობლივი ადვოკაციისათვის როგორც ეროვნულ ისე რეგიონულ/საერთაშორისო დონეზე.

## მოკლევადიანი ხედვა 2022 წლის ბოლოსათვის

2022 წლის ბოლოსათვის „თანადგომას“ შემდეგ ცვლილებებს მოელის მისი საქმიანობის სფეროებში (სხვადასხვა დონეზე):

1. სახელმწიფო პრიორიტეტს ანიჭებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებს (პოლიტიკის დონე): სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები უკეთ არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები (ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლება) სასკოლო კურიკულუმის ნაწილია;
2. საზოგადოების ტოლერანტობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების მიმართ გაზრდილია (საზოგადოების დონე);
3. სრჯუ-ზე მომუშავე ორგანიზაციები გაძლიერებულია და უკეთესად შეუძლიათ ადვოკაცია, რათა დაცული იყოს მოწყვლადი პოპულაციებისა და ინდივიდების სრჯუ (საზოგადოების და ინდივიდუალური დონეები);
4. აივ/შიდსის, სგგი-ის, ტუბერკულოზის პრევენციული სერვისები მოწყვლადი პოპულაციებისთვის (ადამიანები, ვისაც შეეხო აივ/შიდსი, ლგბტ, ადამიანები დამოკიდებულების პრობლემებით და სხვ.) არსებობს და ნაწილობრივ მხარდაჭერილია მთავრობის მიერ (პოლიტიკის დონე);
5. მოწყვლადი პოპულაციების (ადამიანები, ვისაც შეეხო აივ/შიდსი, ლგბტ, ადამიანები დამოკიდებულების პრობლემებით და სხვ.) ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის სერვისები არსებობს და ნაწილობრივ მხარდაჭერილია მთავრობის მიერ (პოლიტიკის დონე);
6. „თანადგომა“ აღიარებული ექსპერტია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში (ორგანიზაციული დონე): ექსპერტულ და ტექნიკურ დახმარებას უწევს სხვადასხვა ორგანიზაციებს; ეწევა წარმატებულ საადვოკაციო საქმიანობას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ასევე ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სფეროში როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე;
7. „თანადგომას“ მდგრადობა გაზრდილია ადამიანური რესურსების და მართვის სისტემების უწყვეტი განვითარების, ასევე მდგრადი ორგანიზაციული დაფინანსების მეშვეობით (ორგანიზაციული დონე).